შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“-ს ხარისხის

პ ო ლ ი ტ ი კ ა

შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“-ს ხარისხის პოლიტიკა ეფუძნება ორგანიზაციის საუკეთესო ტრადიციებსა და ღირებულებებს, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინსტიტუტებისა და სამედიცინო ცენტრების პოტენციალს, საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებას და პრაქტიკას.

შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“ ხარისხის პოლიტიკის მეშვეობით იღებს ვალდებულებას პაციენტებს შესთავაზოს ხარისხიანი მომსახურება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით:

- სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც ემყარება აღიარებული სამედიცინო მომსახურების მეთოდებისა და აპრობირებული აღჭურვილობის გამოყენებას;
- მაღალკვალიფიციურ და პასუხისმგებელ პერსონალს;
- საუკეთესო სამედიცინო პრაქტიკის წესების გათვალისწინებას;
- ჩამოყალიბდეს, განხორციელდეს და მუდმივად გაუმჯობესდეს კლინიკის მენეჯმენტის სისტემები ISO 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და დასტურდებოდეს მაკრედიტირებელი ორგანოს მოთხოვნების შესრულება;
- სისტემატურად მონაწილეობდეს შესაბამის საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა ღონისძიებებში, კლინიკის მდგომარეობის და შესაძლებლობების განსაზღვრის და გაუმჯობესებისთვის;
- მუდმივად უზრუნველყოს თანამედროვე სამედიცინო კვლევითი ტექნიკისა და მეთოდების ინფორმირება და ათვისება, რათა დაიხვეწოს კლინიკის კვლევითი კომპონენტი.

მ ი ს ი ა

შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“-ს მისიას წარმოადგენს შესთავაზოს დაინტერესებულ მხარეებს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება, რომელიც დაკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს და მოლოდინებს, ასევე უზრუნველყოს ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მიზნების და ამოცანების განხორციელება, დაგეგმვა, შემოწმება და მუდმივი გაუმჯობესება.

ხ ე დ ვ ა

კლინიკის ხედვაა მომსახურების მაღალი ხარისხის შენარჩუნების გზით მოიპოვოს მომხმარებლის ნდობა და ლოიალურობა.

იყოს პაციენტთა და მათი ოჯახების ურყევი მოკავშირე, ყველაზე სანდო, ემპათიური და მზრუნველი კლინიკა, რომელთან თანამშრომლობაც სამედიცინო დახმარებას სცილდება.

იყოს სანდო და სასურველი პარტნიორი ფარმაცევტული, საკონტრაქტო და სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის. საერთაშორისო სტანდარტებისა და ინოვაციური მიდგომებისადმი ერთგულებით შეძლოს წინსვლა და პაციენტის მკურნალობის შედეგების გაუმჯობესება.

იყოს საუკეთესო დამსაქმებელი. ჩვენს კლინიკაში დასაქმება უნდა ნიშნავდეს პროფესიულ წინსვლას, კეთილდღეობის მუდმივ გაუმჯობესებას, სტაბილურობასა და მნიშვნელოვანი საქმის ღირსეულად კეთებას.

ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი

პაციენტზე ორიენტირებულობა;

ჩვენი გადაწყვეტილებები ეფუძნება პაციენტის ინტერესებს. ჩვენ უზრუნველვყოფთ ყველა პაციენტს ინდივიდუალური მიდგომით, შესაბამისი დიაგნოსტიკური კვლევებითა და თერაპიით. ვცდილობთ ვიყოთ სანდო სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები და უზრუნველვყოთ ჩვენი პაციენტების უსაფრთხოება და სიმშვიდე.

პროფესიონალიზმი და გუნდური მუშაობა;

ერთად ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ საუკეთესო გამოსავალი და მივაღწიოთ საუკეთესო შედეგს. ერთად ვმუშაობთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ საუკეთესო მომსახურება პაციენტისთვის, ვენდობით ჩვენს თანამშრომლებს და ვაფასებთ მათ შრომას. ჩვენთვის თითოეული თანამშრომელი თანასწორია, პატივს ვცემთ ყველა კულტურას და ეთნიკურ წარმომავლობას, ვიძლევით კონსტრუქტიულ უკუკავშირს და ვითვალისწინებთ სხვების აზრს ჩვენი სამუშაოს მიმართ. ვაფასებთ თანამშრომლობას თითოეულ ჩვენს პარტნიორთან.

ცოდნა და განვითარება;

ფეხს ვუდგამთ ინოვაციებს, მუდმივად ვმუშაობთ სერვისების გაუმჯობესებისთვის და ვეძებთ ხარისხის გაუმჯობესების გზებს. ვზრუნავთ კლინიკის სტაბილურ ზრდაზე და თანამშრომლების განვითარებაზე;

მ ი ზ ნ ე ბ ი

- გავუწიოთ პაციენტებს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება;
- უზრუნველვყოთ ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების მოთხოვნების დაკმაყოფილების მუდმივობა;
- ჩამოვაყალიბოთ პაციენტის მართვის ეფექტური მეთოდოლოგიური და ინვენტარული ბაზა, შევიქმნათ მაღალი, ხარისხიანი რეპუტაცია;
- უზრუნველვყოთ თანამშრომელთა და დაინტერესებულ პირთა მოთხოვნების და მოლოდინების დაკმაყოფილება.

პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი

- დაინტერესებული მხარეების ჩართულობა;
- ლიდერობა;
- პროცესული მიდგომა;
- მუდმივი გაუმჯობესება;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება;
- ურთიერთობების მართვა.

კლინიკის პერსონალი მუდმივად იქნება გაწვრთნილი და მოტივირებული, რომ გამოიყენოს საკუთარი ცოდნა და საუკეთესო გამოცდილება მენეჯმენტის სისტემების და კლინიკის შესაძლებლობების შემუშავებისა და გაუმჯობესების პროცესში, ამასთან, ის უზრუნველყოფს, რომ მისი თანამშრომლები იცნობდნენ და აცნობიერებდნენ საკუთარ უფლება - მოვალეობებს.

კლინიკა დაამყარებს რეგულარულ და ეფექტურ კომუნიკაციას ყველა დაინტერესებულ მხარესთან, სასარგებლო ურთიერთდამოკიდებულების ამაღლებისათვის.

დამტკიცებულია
შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“-ს
დირექტორის ლ. დგებუაძის მიერ.
20.05 2024 წ.